ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19

2011 წლის 22 ივლისი

დაბა ასპინძა

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 04 აგვისტოს №23 დადგენილება „ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ა. მელიქიძე

დანართი

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება

მუხლი 1. კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამსახური

1. კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამსახური არის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის მუნიციპალური პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას.

2. სამსახური საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. სამსახურის საშტატო განრიგი მტკიცდება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, ხოლო თანამდებობრივი სარგოები საკრებულოს დადგენილებით.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, სამსახურის განყოფილების უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან.

2. სამსახურის განყოფილების უფროსი- სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის საკითხებში

3. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) კულტურისა და ხელოვნების განვითარების საკითხთა ქვედანაყოფი;

ბ) ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების საკითხთა ქვედანაყოფი.

4. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება გამგეობის დებულების მე-10 მუხლით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტითა და სამსახურის უფროსის თანამდებობრივი ინსტრუქციით. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი დავალებით სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის განყოფილების უფროსი, სამსახურის განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში – ერთ-ერთი ქვედანაყოფის მოხელე.

5. სამსახურის ქვედანაყოფები შედგება ქვედანაყოფის მოხელეებისაგან.

6. ქვედანაყოფების მოხელეების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით და ქვედანაყოფების მოხელეთა შესაბამის თანამდებობრივი ინსტრუქიით.

7. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლება განისაზღვრება გამგეობის დებულებით, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

1. კულტურის, ხელოვნების განვითარების, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, კერძოდ:

ა) კულტურისა და ხელოვნების განვითარების საკითხებში:

– კულტურისა და ხელოვნების განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

– მუნიციპალური მუზეუმების, კულტურის სახლების, თეატრების, სახელოვნებო სკოლებისა და კულტურის სხვა დაწესებულებათა მართვას;

ბ) ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების საკითხებში:

– ისტორიულ და კულტურის ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის საკითხთა მუნიციპალური პროგრამის შემუშავებას, აღნიშნულ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

– მუნიციპალური ისტორიული და კულტურული ძეგლების, ტურისტული ობიექტებისა და ბილიკების მართვას;

გ) სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის საკითხთებში:

– სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის საკითხთა მუნიციპალური პროგრამის შემუშავებას, აღნიშნულ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

– მუნიციპალური სტადიონების, სპორტული მოედნების, საცურაო აუზების, სპორტული კომპლექსების მართვას.

2. მოქმედი კანონმდებლობებითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის ორგანიზება

1. სამსახურის საქმიანობის ორგანიზებასა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.